ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №713032

ნომერი: AR1134055

თარიღი : 24.05.2013

გაცემის თარიღი : 29.05.2013

გაცნობის თარიღი : 08.06.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქ. სამხედრო გზასა და დიდი დიღმის შემაერთებელი მაგისტრალის გადაკვეთაზე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზი ლელაძე პ/ნ 01028001556
- თბილისი კ.ერისთავის ქ. N 3/2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, თუმცა ამისათვის უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"-ს გრაფაში უნდა აიტვირთოს ის არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, რომლის საფუძველზეც დამუშავა საპროექტო ფოტომონტაჟი. ამ ეტაპზე წარმოდგენილი არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი სხვადასხვა რაკურსიდან არის გადაღებული.

2. "საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრეთა თანხმობა" გრაფაში ატვირთული გაქვთ საიჯარო ხელშეკრულების ერთ-ერთი ფურცელი, რომლის 2.2.9 პუნქტის თანახმად დაქირავებულ ფართში შიგნით და ფასადზე ნებისმიერი სახის სამუშაოების წარმოება დასაშვებია მხოლოდ გამქირავებლის ნებართვით. აღნიშნულის შესაბამისად უნდა წარმოადგინოთ სარეკონსტრუქციო ფართის მესაკუთრის, შ.პ.ს. "მაიკო"-ს დირექტორის თანხმობა, მის საკუთრებაში არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობასთან დაკავშირებით.

3. წარმოდგენილი იქნას იჯარის ხელშეკრულება. ხელშეკრულების ერთი ფურცლის წარმოდგენა არ არის საკმარისი.

4. თანახმად "მოთხოვნის ტექსტი"-ს გრაფაში აღნიშნული ინფორმაციისა საპროექტო ფართით სარგებლობს შპს "ლეადორა", გამომდინარე აქედან "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება" გრაფაში უნდა ატვირთოთ შპს "ლეადორა"-ს დირექტორის მინდობილობა ან აღნიშნული პირი უნდა დაარეგისტრიროთ თანაგანმცხადებლის სახით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.